



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №35

2017 წელი 31 მაისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” -ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას პირდაპირი გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების სარგებლობის უფლებით გაცემა:

ა) სოფელ ფერიაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 67 კვ.მ ფართი გადაეცეს თეიმურაზ კუკავას (ს/კ 22.24.02.352);

ბ) სოფელ ფერიაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 56,7 კვ.მ ფართი გადაეცეს თემურ ხინკილაძეს (ს/კ 22.24.02.352);

2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების საიჯარო ღირებულება შემდგენიარად:

ა) სოფელ ფერიაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 67 კვ.მ ფართის (ს/კ 22.24.02.352) წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 2010 ლარის ოდენობით ;

ბ) სოფელ ფერიაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 56,7 კვ.მ ფართის (ს/კ 22.24.02.352) წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1701 ლარის ოდენობით ;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე